აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი			
არაუგვიანეს 59-ე დღისა	5 სექტემბერი	პარასკევი	1. არჩევნების დანიშვნის დღიდან უსკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა 73-ე მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინება (საარჩევნო კოდექსი 73-ე მუხლის მე-12 პუნქტი). 2. უსკოს მიერ ოლქში წევრის ასარჩევი კონკურსის წესის დადგენა და გამოცხადება (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 36, პუნქტი 3). 3.საარჩევნო უბნის წევრების ასარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრა (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41). 3. უმაღლესი საარჩევნო კომისია ქმნის და ადგენს საარჩევნო ოლქების საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს და აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას ოლქების საზღვრების მითითებით. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 20, პუნქტი 3).
არაუგვიანეს 58-ე დღისა	6 სექტემბერი	შაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის საწყისი ვადა(05.09.2008 უსკოს განკარგულება №29).
არაუგვიანეს 57-ე დღისა	7 სექტემბერი	კვირა	1 უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიამ, მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 44, პუნქტი პირველი). 2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო დღე. (05.09.2008 უსკოს განკარგულება №29) 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პარტიამ რომელთაც არ გააჩნიათ საარჩევნო რეგისტრაცია ცესკოში თავიანთი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი განცხადებით მიმართავენ უსკოს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მისაღებად (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 44, პუნქტი პირველი და 4^1). 4.უსკოს თავმჯდომარე სრულყოფილად საბუთების წარდგენის შემთხვევაში, საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს პარტიას (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 44, პუნქტი 6). 5. საარჩევნო სუბიექტმა რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში უნდა გახსნას საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში; ანგარიშის გახსნიდან 2 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტი უსკოს წარუდგენს ბანკის მიერ გაცემულ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის გახსნის დამადასტურებელ დოკუმენტსა და ანგარიშის ნომერს, აგრეთვე აცნობებს საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის ვინაობასა და კოორდინატებს (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 46, პუნქტები 3 და 4).

არაუგვიანეს 56-ე დღისა	8 სექტემბერი	ორშაბათი	1. საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნა. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის დებულებას და მის მუშაობის წესს ამავე ჯგუფის წევრების წარდგინებით, განკარგულებით ამტკიცებს უსკო, ჯგუფის არჩევიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა. (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48, პუნქტი 10^1). 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის გამოქვეყნება, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 75, პუნქტი 3. უსკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის ერთი წევრის არჩევა. (05.09.2008 უსკოს განკარგულება №29)
არაუგვიანეს 55-ე დღისა	9 სექტემბერი	სამშაბათი	1. უსკოს მიერ აჭარის ა.რ ფინანსთა სამინისტროსათვის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის წარდგენა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 55, პუნქტი პირველი) 2.შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ქმნის საარჩევნო უბნებს, ადგენს მათ საზღვრებს და ნომრებს და 3 დღის ვადაში აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას უბნების საზღვრების მითითებით (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. მუხლი 21, პუნქტი 3). 3.საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს საუბნო სარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსს. (05.09.2008 უსკოს განკარგულება №31)
არაუგვიანეს 54-ე დღისა	10 სექტემბერი	ოთხშაბათი	საქართველოს საარჩევნო კოდექსის 28^1 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე წარედგინება უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახე, მუხლი 31, პუნქტი პირველი
არაუგვიანეს **53-ე დღისა**	11 სექტემბერი	ხუთშაბათი	
არაუგვიანეს **52-ე დღისა**	12 სექტემბერი	პარასკევი	საქართველოს საარჩევნო კოდექსის 28^1 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე წარედგინება უსკოს. თუ უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიები ამ პუნქტით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, უსკოს ამ ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით შეავსოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 13 წევრამდე. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 36, პუნქტი 2)
არაუგვიანეს **51-ე დღისა**	13 სექტემბერი	შაბათი	
არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან	14 სექტემბერი	კვირა	უსკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელნი და საზოგადოებრივი მაუწყებელნი და აგრეთვე გაზეთები, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ან

			ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გარდა პოლიტიკური გაზეთისა, ვალდებულნი არიან დაიცვან აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 75-ე მუხლი და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტების მოთხოვნები. .
რაუადრეს 50-ე დღისა	14 სექტემბერი	კვირა	1. საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნოსაარჩევნო კომისიის 6 წევრს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი პირველი). 2. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ასარჩევი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების საბუთების წარდგენის საწყისი ვადა. (05.09.2008 უსკოს განკარგულება №31)
არაუგვიანეს **50-ე დღისა**	14 სექტემბერი	კვირა	1. აჭარის არ ფინანსთა სამინისტროს მიერ აჭარის არ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა უსკოს ანგარიშზე. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 55, პუნქტი 2) 2. შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრებს, ასევე საარჩევნო უბნებში შემავალ შენობა-ნაგებობათა ნუსხას და მისამართებს აზუსტებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. დაზუსტებული საზღვრები გამოქვეყნდება დაუყოვნებლივ. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 21, პუნქტი 6) 3. შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ მხარდამჭერთა სიების წარდგენის ბოლო ვადა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 44, პუნქტი 4^2)
არაუგვიანეს **49-ე დღისა**	15 სექტემბერი	ორშაბათი	არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა უმაღლესი საარჩევნო კომისია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას აჭარის არ-ში და აჭარის არ-ის ყოველ საარჩევნო ოლქში. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 15, პუნქტი 2)
კენჭისყრამდე 48 დღით ადრე	16 სექტემბერი	სამშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიაში მთავრდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა. (05.09.2008 უსკოს განკარგულება №31)
არაუგვიენეს 47-ე დღეს	17 სექტემბერი	ოთხშაბათი	
არაუგვიანეს **46-ე დღისა**	18 სექტემბერი	ხუთშაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნი საარჩევნო კომისიის 6 წევრს (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი პირველი). 2. საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ, წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 37, პუნქტი 3).
არაუგვიანეს 45-ე დღისა	19 სექტემბერი	პარასკევი	1. უსკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა საოლქო საარჩევნო კომისიის მიმდინარე ანგარიშზე (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 55, პუნქტი 4).
არაუგვიანეს **44-ე**	20 სექტემბერი	შაბათი	

დღისა			
არაუგვიანეს **43-ე დღისა**	21 სექტემბერი	კვირა	*უსკოს* უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და ბლოკის წესდება. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 44, პუნქტი 7)
არაუგვიანეს 42-ე დღისა	22 სექტემბერი	ორშაბათი	
არაუგვიანეს 41-ე დღისა	23 სექტემბერი	სამშაბათი	უმაღლესი საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 21, პუნქტი 6)
არაუგვიანეს **მე-40 დღისა**	24 სექტემბერი	ოთხშაბათი	
არაუგვიანეს **39-ე დღისა**	25 სექტემბერი	ხუთშაბათი	
არაუგვიანეს **38-ე დღისა**	26 სექტემბერი	□□□□□□□□□	
არაუგვიანეს **37-ე დღისა**	27 სექტემბერი	□□□□□□	მთავრდება საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციისათვის საჭირო საარჩევნო კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის პროცედურები. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 44, პუნქტი 13)
არაუგვიანეს **36-ე დღისა**	28 სექტემბერი	კვირა	
არაუგვიანეს 35-ე დღისა	29 სექტემბერი	ორშაბათი	
არაუგვიანეს **34-ე დღისა**	30 სექტემბერი	სამშაბათი	1. იმართება ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 4) 2. საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა ერთიანი სიები (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 9) 3. ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა სიების და მათთან დაკავშირებით საჩივრის წესის გამოკვრა კომისიისა და კენჭისყრის შენობაში (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 19, პუნქტი პირველი)
არაუგვიანეს 33-ე დღისა	1 ოქტომბერი	ოთხშაბათი	
არაუგვიანეს **32-ე დღისა**	2 ოქტომბერი	ხუთშაბათი	
არაუგვიანეს **31-ე დღისა**	3 ოქტომბერი	პარასკევი	
	4 ოქტომბერი	შაბათი	1. უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, ასევე იმ პარტიებისა და ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა და ამის მიზეზს (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 44, პუნქტი 18) 2. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა

არაუგვიანეს 30-ე დღე			ნარკოლოგიური შემოწმების განხორციელების მიზნით სათანადო დაწესებულების შერჩევა უსკოსა და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 66, პუნქტი პირველი, მეორე) 3. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა საოლქო საარჩევნო კომისია 3 დღის ვადაში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 5) 4. არჩევნებამდე 30 დღით ადრე განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომერი (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 99, პუნქტი პირველი) 5. უსკოსთვის პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებს მიერ პარტიული სიის წარდგენის ბოლო დღე. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 8)
რაუგვიანეს **29-ე დღისა**	5 ოქტომბერი	კვირა	1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 4) 2. საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცემათ 47-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 8)
არაუგვიანეს **28-ე დღისა**	6 ოქტომბერი	ორშაბათი	უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ აჭარი ა.რ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 13)
არაუგვიანეს **27-ე დღისა**	7 ოქტომბერი	სამშაბათი	თუ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 5)
არაუგვიანეს **26-ე დღისა**	8 ოქტომბერი	ოთხშაბათი	უსკოს სათანადო სამსახური ამოწმებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას და დასკვნას წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 49, პუნქტი 2)
არაუგვიანეს **25-ე დღისა**	9 ოქტომბერი	ხუთშაბათი	1. უსკოს თავმჯდომარე თუ წარდგენილი პარტიული სია, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი და თანდართული საბუთები აკმაყოფილებს საარჩევნო კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რეგისტრაციაში ატარებს პარტიულ სიას, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს, ხოლო შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ეძლევა 3 დღე სიისა და საბუთების სრულყოფისათვის. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 49, პუნქტი 2)

			2. უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებულ პარტიულ სიებს. (საქართველოს *საარჩევნო კოდექსი, მუხლი 99, პუნქტი 9*) 3. საოლქო საარჩევნო კომისიები აქვეყნებენ საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა იმ მონაცემებს, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 99, პუნქტი 9)
არაუგვიანეს **24-ე დღისა**	10 ოქტომბერი	პარასკევი	
არაუადრეს **24-ე დღისა**	11 ოქტომბერი	შაბათი	
არაუგვიანეს **23-ე დღისა**	11 ოქტომბერი	შაბათი	
არაუგვიანეს **22-ე დღისა**	12 ოქტომბერი	კვირა	
არაუგვიანეს **21-ე დღისა**	13 ოქტომბერი	ორშაბათი	
არაუგვიანეს **მე-20 დღისა**	14 ოქტომბერი	სამშაბათი	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული მონაცმების შესწორებისა და პარტიული სიების რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 49, პუნქტი 3)
არჩევნების დღემდე **19 დღით ადრე**	15 ოქტომბერი	ოთხშაბათი	
არაუგვიანეს **მე-18 დღისა**	16 ოქტომბერი	ხუთშაბათი	
არაუგვიანეს **მე-17 დღისა**	17 ოქტომბერი	პარასკევი	
არაუგვიანეს **მე-16 დღისა**	18 ოქტომბერი	შაბათი	1. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, დამკვირვებელ ორგანიზაციასა და ამომრჩეველს უფლება აქვთ უსკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ (საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ) ვერსიას და მათში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვონ ამ სიებში ცვლილებების შეტანა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 5) 2. ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეები იმ შემთხვევაში, თუ ხმის მიცემა სურთ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო სიაში შეყვანის მიზნით მიმართავენ საუბნო საარჩევნო კომისიებს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 17, პუნქტი 9)
არაუგვიანეს **მე-15 დღისა**	19 ოქტომბერი	კვირა	1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევის ბოლო ვადა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 25, პუნქტი 7) 2. გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნის შექმნა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი 3)
არაუგვიანეს **მე-14 დღისა**	20 ოქტომბერი	ორშაბათი	1 ამომრჩეველთა სიების შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს

			საოლქო საარჩევნო კომისია (განკარგულებით). (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 6) 2. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილებების შეტანის შესახებ 2 დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 7)
არაუადრეს **მე-14 დღისა**	20 ოქტომბერი	ორშაბათი	გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 3)
არაუგვიანეს **მე-13 დღისა**	21 ოქტომბერი	სამშაბათი	1. უსკო საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 21, პუნქტი 6). 2. საარჩევნო სიებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია, თუ სარჩელი წარდგენილი იყო სასამართლოში საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 11)
რაუგვიანეს **მე-12 დღისა**	22 ოქტომბერი	ოთხშაბათი	
არაუგვიანეს **მე-11 დღისა**	23 ოქტომბერი	ხუთშაბათი	1. საარჩევნო სიებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია, თუ სარჩელი წარდგენილი იყო სასამართლოში საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი განკარგულების გამო, მუხლი 16, პუნქტი 11) 2. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც ეხება საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებას ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს უსკოს და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას, საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 8)
არაუგვიანეს **მე-10 დღისა**	24 ოქტომბერი	პარასკევი	1. უსკო მიერ გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნა (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 21, პუნქტი 4, პუნქტი 5) 2. უსკო და საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიების საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 77, პუნქტი პირველი) 3. შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეცემა

			აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა. სია (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 17, პუნქტი 5) 4. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 3) 5. აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 16, პუნქტი 11) 6. უსკო აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 15 პუნქტი 2)
არაუადრეს **მე-10 დღისა**	24 ოქტომბერი	პარასკევი	გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის წევრებს (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი პირველი)
არაუგვიანეს **მე-9 დღისა**	25 ოქტომბერი	შაბათი	1. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის წევრებს (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი პირველი) 2. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 3)
არაუგვიანეს **მე-8 დღისა**	26 ოქტომბერი	კვირა	1. თუ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა საოლქო საარჩევნო კომისია სამი დღის ვადაში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 5) 2. უმაღლესი საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 21, პუნქტი 6)
არაუგვიანეს **მე-7 დღისა**	27 ოქტომბერი	ორშაბათი	საერთაშორისო ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართავს უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 4)
არაუგვიანეს **მე-6 დღისა**	28 ოქტომბერი	სამშაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მოიწვევა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 4)

			2. საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეცემა აჭარის ა.რ კანონის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა სია. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 17, პუნქტები 3 და 4) 3. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა სიების და მათთან დაკავშირებით საჩივრის წესის გამოკვრა კომისიასა და კენჭისყრის შენობაში (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 13).
არაუგვიანეს **მე-5 დღისა**	29 ოქტომბერი	ოთხშაბათი	1. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი კომისიების წევრთა სიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი 37 მუხლი პუნქტი 4) 2. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 7) 3. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ იმ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენა, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 17, პუნქტი 2) 4. უსკოს თავმჯდომარის მიერ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 4) 5. თუ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 37, პუნქტი 5) 6. უსკო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და უსკოს ვებ-გვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ რაოდენობას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში (საქართველოს საარჩევნო კოდექსი 9^1 მუხლის მე-4 პუნქტი)
არაუგვიანეს **მე-4 დღისა**	30 ოქტომბერი	ხუთშაბათი	1. უსკოს თავმჯდომარე საერთაშორისო ორგანიზაციას გადასცემს განკარგულებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 5)
არაუგვიანეს **მე-3 დღისა**	31 ოქტომბერი	პარასკევი	1. საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით ამტკიცებს სპეციალურ სიებს და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 17, პუნქტი 6) 2. შესაბამის საარჩევნო კომისიებს წარედგინებათ განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 74, პუნქტი 3) 3. საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილ

			ადგილობრივ დამკვირვებლებს და გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 8) 4. არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა, არ შეიძლება კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 73, პუნქტი 12)
არაუგვიანეს **მე-2 დღისა**	1 ნოემბერი	შაბათი	1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 56, პუნქტი 2) 2. თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ამ კანონით დადგენილ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა პარტიას/საარჩევნო ბლოკს უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით უუქმდება საარჩევნო რეგისტრაცია. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 46, პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი, მე- 2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი) 3. რეგისტრირებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ უსკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა სია მათი ვინაობის მითითებით. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71, პუნქტი 6) 4. ინფორმაციას კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკერნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 56, პუნქტი 2) 5. საუბნო საარჩევნო კომისია უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩევლებს გადასცემს ამომრჩევლის ბარათს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 14, პუნქტი პირველი) 6. უსკო საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51, პუნქტი 9) 7. დილის 8 საათის შემდეგ იკრძალება არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება (გარდა არჩევნებში შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა) (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 73, პუნქტი 12) 8. საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლის აკრედიტაციის საკითხის გადაწყვეტა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 74, პუნქტი 4) 9. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს, პარტიას/ბლოკს, უფლება აქვთ უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც

			განცხადებით უნდა მიმართონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 53, პუნქტი პირველი) 10. საუბნო საარჩევნო კომისიებს გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა ერთიანი სიების დაზუსტებული საბოლოო ვერსია. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 16, პუნქტი 9)
არაუგვიანეს **კენჭისყრის წინადღისა**	2 ნოემბერი	კვირა	1. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და გადასცემს სათანადო მოწმობას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 74, პუნქტი 4) 2. საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამების (ასეთის წარდგენის შემთხვევაში) ჩამოხსნა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 68, მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი) 3. 24 საათის შემდეგ აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიის და რადიოს ეთერის მეშვეობით. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 73, პუნქტი 3) 4. კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 12 საათისა საუბნო საარჩევნო კომისიებს გადაეცემათ სპეციალური კონვერტები და საარჩევნო ბიულეტენები. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51, პუნქტი 9)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე	3 ნოემბერი	ორშაბათი	1. 7 საათზე: საარჩევნო უბნის გახსნა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52, პუნქტი პირველი) 2. 8 საათზე: იწყება კენჭისყრა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52, პუნქტი პირველი) 3. 9 საათიდან 19 საათამდე: ხმის მიცემა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49, პუნქტი 7) 4. 12 და 17 საათზე: კომისიის მდივანი ითვლის ამომრჩეველთა სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას და აღნიშნული რიცხვი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-2 გვერდზე, შემაჯამებელ ოქმსა და სადემონსტრაციო ოქმში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 53, პუნქტი 6) 5. 20 საათზე: იკეტება კენჭისყრის შენობა (საქართველოს საარჩევნო კოდექსი,მუხლი 54, პუნქტი 7) 6. 20 საათამდე აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება (გარდა არჩევნებში შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა) (საქართველოს საარჩევნო კოდექსი,მუხლი 73, პუნქტი 12) 7. იკრძალება კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეო

			გადაღება (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50, პუნქტი 6)
კენჭისყრიდან პირველი დღე	4 ნოემბერი	სამშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-2 დღისა**	5 ნოემბერი	ოთხშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-3 დღისა**	6 ნოემბერი	ხუთშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-4 დღისა**	7 ნოემბერი	პარასკევი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-5 დღისა**	8 ნოემბერი	შაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-6 დღისა**	9 ნოემბერი	კვირა	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-7 დღისა**	10 ნოემბერი	ორშაბათი	სავარაუდოდ არჩეულმა უმაღლესი საბჭოს წევრებმა უნდა გაიარონ ნარკოლოგიური შემოწმება (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 107[1)]
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-8 დღისა**	11 ნოემბერი	სამშაბათი	წინასწარი მონაცემების საფუძველზე გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის წარდგენა უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48, პუნქტი 6)
კენჭისყრიდან არაუგვიანეს **მე-9 დღისა**	12 ნოემბერი	ოთხშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-10 დღისა**	13 ნოემბერი	ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შედეგების გათვალისწინებით აჯამებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 63, პუნქტი პირველი)
კენჭისყრიდან **რაუგვიანეს მე 11 დღისა**	14 ნოემბერი	პარასკევი	
კენჭისყრიდან **რაუგვიანეს მე 12 დღისა**	15 ნოემბერი	შაბათი	
კენჭისყრიდან **რაუგვიანეს მე 13 დღისა**	16 ნოემბერი	ორშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე- 14 დღისა**	17 ნოემბერი	სამშაბათი	1. განმეორებითი კენჭისყრის ჩატარების ან მეორე ტურის დანიშვნის დღე (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 64, პუნქტი პირველი) 2. ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულება ვალდებულია უსკოს წარუდგინოს

			ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები და იმ პირთა სია ვინც გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება (მუხლი 107[1])
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს 15- დღისა**	18 ნოემბერი	ოთხშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს 16 დღისა**	19 ნოემბერი	ხუთშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს 17 დღისა**	20 ნოემბერი	პარასკევი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს მე-18 დღისა**	21 ნოემბერი	შაბათი	1. უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე აჯამებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 63, პუნქტი პირველი)
კენჭისყრიდან **რაუგვიანეს 19 დღისა**	22 ნოემბერი	კვირა	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს 20 დღისა**	23 ნოემბერი	ორშაბათი	
კენჭისყრიდან **არაუგვიანეს 23 დღისა**	26 ნოემბერი	ოთხშაბათი	1. უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 63, პუნქტი 17) 2. უსკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ წევრებს და აძლევს დროებით მოწმობას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65)
არაუგვიანეს 30-ე დღე	3 დეკემბერი	ოთხშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ყოველგვარი ანგარიშსწორების შეწყვეტა ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 2)
კენჭისყრიდან არაუგვიანეს 38 დღისა	11 დეკემბერი	ხუთშაბათი	საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან არაუგვიანეს 20 დღისა დახუროს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48, პუნქტი 9)

არაუგვიანეს მე-40-ე დღისა	13 დეკემბერი	შაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ თავის ანგარიშზე არსებული ნაშთის ჩარიცხვა უსკოს ანგარიშზე. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 2)
არაუგვიანეს 54-ე დღისა	27 დეკემბერი	შაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საფინანსო ანგარიშის წარდგენა უსკოსთვის (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 2)